საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 7 20 0000644916

29/07/2020

„სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა სერტიფიცირების წესით შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის პირველი ივლისის №547166 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 29 ივლისის №644904 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის №408413 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ” ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა სერტიფიცირების წესით შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2020 წლის პირველი ივლისის №547166 ბრძანებაში და ბრძანების:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა სერტიფიცირების წესით შერჩევის მიზნით გამოცხადდეს კონკურსი 2020 წლის 15 ივლისიდან და საკონკურსო განაცხადების მიღების ვადა განისაზღვროს 2020 წლის 15 ივლისიდან 2020 წლის 14 აგვისტოს ჩათვლით.";

ბ) მე-5 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) კანდიდატთა შერჩევა, რომელიც შედგება შემდეგი ქვეეტაპებისგან:
ა.ა.) განაცხადების გადარჩევა;
ა.ბ.) კანდიდატთა შეფასება ტესტირების გზით;
ა.გ.) კანდიდატთა შეფასება გასაუბრების გზით;".

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ